ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა

(2017 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები)

კვლევა განხორციელდა პროექტის - ,,სოციალური
და საგანმანათლებლო ინიციატივები - მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის”
ფარგლებში, ორგანიზაცია **Brotfür die Welt**-ის ფინანსური მხარდაჭერით დირექტორი:
მარინა თოფურია

2017

სარჩევი

სარჩევი ---------- 2

ძირითადი შედეგები ---------- 3

მეთოდოლოგია ---------- 8

განათლება ---------- 10

დასაქმება ---------- 11

სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ცხოვრების გამოცდილება ---------- 16

ახალგაზრდების ძირითადი საჭიროებები ზრუნვის სისტემის დატოვების შემდეგ --------- 17

სოციალური დახმარებები ---------- 19

ჯანმრთელობის დაცვა ---------- 24

დასვენება ---------- 24

რეკომენდაციები ---------- 25

ძირითადი შედეგები

სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ცხოვრების ხანგრძლივობა და მომსახურებათა ტიპები

რესპონდენტებს სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ცხოვრების საშუალოდ 10 წლის გამოცდილება აქვთ, რომლის პერიოდშიც მოუწიათ საშუალოდ ზრუნვის ორ მომსახურებაში ცხოვრება, თუმცა იყო ისეთი რესპონდენტიც, რომელსაც ზრუნვის სისტემაში აღზრდისას, ექვს მომსახურებაში ცხოვრების გამოცდილება ჰქონდა.

რესპონდენტების ზემოაღნიშნულ სისტემაში ცხოვრების ყველაზე მცირე პერიოდი არის 3 წელი, თუმცა იყო გამოკითხულთა მცირე პროცენტი, რომელსაც მთელი ბავშვობა, ანუ 18 წლამდე პერიოდი, მოუწია სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში აღზრდა.

რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ბავშვთა სახლსა და მცირე საოჯახო სახლში ცხოვრების გამოცდილება აქვს. ისინი, სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში აღზრდილი ის თაობაა, რომელსაც 2011-2012 წლებში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმირების პროცესში დეინსტიტუციონალიზაციის აქტიურ ფაზაში მოუწია ბავშვთა დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებებიდან, ზრუნვის ალტერნატიულ მომსახურებაში - მცირე საოჯახო სახლში გადასვლა. გარდა ზემოაღნიშნული მომსახურებებისა, გამოკითხულთა მცირე პროცენტს, მინდობით აღზრდაში, სკოლა-პანსიონსა და ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში ცხოვრების გამოცდილება აქვს.

განათლება

სახელმწიფო ზრუნვის სიტემაში აღზრდილი ახალგაზრდების საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხანგრძლივობა საშუალოდ 11 წელია, რაც მიუთითებს, იმ ფაქტზე, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა დიდ ნაწილს დასრულებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო საფეხური (9 კლასი). რესპონდენტების უმრავლესობას დასრულებული აქვს პროფესიული სასწავლებლები და მიღებული აქვს პროფესიული განათლების დიპლომი. გამოკითხულთა ერთ პროცენტს აქვს ბაკალავრის ხარისხი. სტატისტიკურად მცირეა ის ახალგაზრდები, რომელთაც არ მიუღიათ საბაზო საფეხურის დამადასტურებელი ატესტატიც კი.

დასაქმება

ამ ეტაპზე, რესპონდენტთა უმრავლესობა - 51.2% დასაქმებულია. მათგან 42.7% დაქირავებული თანამშრომელია, ხოლო 8.5% - თვითდასაქმებული. ნაწილი - 29.3% პერიოდულად ყოფილა დასაქმებული, თუმცა, ამჟამად უმუშევარია. გამოკითხულთა 19.5% არასდროს ყოფილა დასაქმებული.

დასაქმებულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი - 54.1% მუშაობს მომსახურების სფეროში. მომსახურების სფეროს ობიექტებს წარმოადგენს: კაფე, რესტორანი, მაღაზია, დღის ცენტრი, კლუბი, ავტოშემკეთებელი პუნქტი, დასუფთავების სამსახური, ბავშვთა გასართობი ცენტრი, საკაბელო ტელევიზია, კომპიუტერული მომსახურების ცენტრი, სილამაზის სალონი, სამკერვალო და სახელოსნოები. სტატისტიკურად, დასაქმების შემდეგ სფეროებს წარმოადგენს: მშენებლობა, სადაც დასაქმებულია რესპონდენტთა 16,4%, დაცვის სამსახური - 9.8%. მხოლოდ ერთი რესპონდენტი აღმოჩნდა დასაქმებული სამთავრობო სტრუქტურაში.

ახალგაზრდები დასაქმებულები არიან შემდეგ პოზიციებზე: მზარეული, მიმტანი, სტილისტი, მშენებელი, ოპერატორი ქარხანაში, კონსულტანტი სავაჭრო ობიექტში, მუშა, ხელოსანი, ანიმატორი, მოცეკვავე, მკერავი, ხელოსანი, გადია, დამლაგებელი და სხვა.

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია სამუშაო ანაზღაურებით, სამუშაო გარემოთი, დასაქმების ადგილებში თანამშრომლებისადმი დამოკიდებულებით, ასევე, თავად დამქირავებლის/დამსაქმებლის (დაქირავებული თანამშრომლის შემთხვევაში) მათდამი დამოკიდებულებით. ისინი კმაყოფილებას გამოხატავდნენ სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებითაც.

რესპონდენტთა იმ ნაწილიდან, რომელიც ამჟამად არ არის დასაქმებული, ნახევარს (50%) უცდია მუშაობის დაწყება სამთავრობო ან კერძო სტრუქტურებში/დაწესებულებებში. ხოლო მეორე ნახევარს - 40.5% არანაირი ძალისხმევა არ გაუწევია ამ მიზნით.

რესპონდენტთა იმ ნაწილს, რომელთაც არ უცდია დასაქმება, მიაჩნია, რომ ყველა შემთხვევაში უშედეგო იქნება სამსახურის ძიების პროცესი, ამიტომ არანაირი ქმედებისთვის არ მიუმართავთ. მცირე ნაწილი, ამის მიზეზად საოჯახო საქმიანობას ან სწავლას ასახელებს. ერთი რესპონდენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, ერთი კი ცხოვრობს მონასტერში.

ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი, მიზეზად ასევე ასახელებენ დაბალ ანაზღაურებას, არასაკმარის კვალიფიკაციას და მიუღებელ სამუშაო პირობებს. სტატისტიკურად მცირე პროცენტი სხვა გარემოებებზე მიუთითებს,

როგორიცაა: დამსაქმებლის მიერ კადრის არასამართლიანად შერჩევა, საცხოვრებელი ადგილიდან დასაქმების ადგილის სიშორე, დედაქალაქში ცხოვრებისთვის და დასაქმებისთვის დამატებითი თანხების აუცილებლობა, ჯარში გაწვევა, ოჯახის წევრის მოვლა.

საცხოვრებლის ტიპი და კუთვნილება

რესპონდენტების ძირითადი ნაწილი - 43.9% ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ დაუბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახს, ამიტომ ძირითადი ნაწილი დღეისათვის ცხოვრობს იმ საცხოვრებელში, სადაც ცხოვრობს ოჯახი. ეს არის კერძო სახლი (სოფლად) ან მრავალსართულიანი კორპუსის ბინა (ქალაქად), რომელიც წარმოადგენს ერთი ოჯახის საკუთრებას. 6% ცხოვრობს საკუთარ სახლში, რომელიც რამდენიმე ოჯახის საკუთრებაა, 4% - ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდის "საქართველოს კარიტასი" ახალგაზრდულ საცხოვრისში; 4% - ბარაკის ტიპის (ფიცრულ) საცხოვრებელში, 6% - მონასტრის კელიაში, ხოლო 1% - საერთო საცხოვრებელში.

ახალგაზრდების 45% ცხოვრობს ოჯახის კუთვნილ საცხოვრებელში, 31%-ის ოჯახს აქვს ნაგირავები, 6% ახლობლის კუთვნილ საცხოვრებელში, რომელშიც არ იხდის საფასურს, მცირე პროცენტი დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტსა და მონასტერში.

ახალგაზრდების ძირითადი საჭიროებები ზრუნვის სისტემის დატოვების შემდეგ

რესპონდენტების მიერ უმთავრეს პირად პრობლემად დასახელდა საკუთარი საცხოვრებლის არქონა (25.8%). სტატისტიკურად, შემდეგ საფეხურზეა სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო თანხის არარსებობა (22.7%), დასაქმება (21.1%), ურთიერთობის დამყარების/აღდგენის პრობლემა ოჯახის წევრებთან/ნათესავებთან (9.4%), ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემები (7.8%), დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის არქონა (3.9%), ქალაქში ცხოვრებისთვის საჭირო თანხა (2.3%).

ოჯახებში არსებული პრობლემებიდან განსაკუთრებული სიმწვავით, გამოკითხულთა 27.9%-მა გამოჰყო არასაკმარისი ფინანსები, 14.4% ოჯახის წევრების დასაქმება, 12.4%-მა საბინაო პირობები, 10.4% კომუნალური გადასახადების გადახდა, 7.5%-მა მედიკამენტების შეძენა, 5.5%-მა ვალებისა და კრედიტების გადახდა, 5.0%-მა ოჯახში არსებული კონფლიქტები, 3.0% ტანსაცმლის შეძენა, 3.0%-მა სამედიცინო მომსახურებას.

სოციალური დახმარებები

რესპონდენტთა ოჯახების ნახევარზე მეტს არ მიუმართავს უფლებამოსილი სტრუქტურისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართვის მიზნით. მხოლოდ 37%-მა მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მოთხოვნით.

რაც შეეხება არაფორმალური სახით მიღებულ დახმარებებს, როგორებიცაა: ნათესავებისგან/ახლობლებისგან ტანსაცმლით, საკვები პროდუქტებითა და ფულადი სახსრებით დახმარება, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი არავისგან არ იღებს რაიმე სახის დახმარებას, 21% დახმარებას იღებს ნატურალური სახით, 12% ფინანსური სახით, ხოლო 11% - ორივე სახით.

რესპონდენტების ნახევარზე მეტი, შემოსავლების მიხედვით, საკუთარ ოჯახებს მიაკუთვნებს იმ კატეგორიას, რომელსაც მეტ-ნაკლებად შეუძლია ყოველდღიური და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; 27%-ს (საკუთარი შინამეურნეობებით მოწეული მოსავლის ჩათვლით) მხოლოდ კვების მოთხოვნილების დაკმაყოფილება; 11.6%-ის შემოსავალი კვებაზეც არ ჰყოფნის; 3% ადვილად იკმაყოფილებს ყოველდღიურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნილებებს.

ჯანმრთელობის დაცვა

რესპონდენტთა უმრავლესობას (69%), სახელმწიფო ზრუნვის სისტემის დატოვების შემდეგ, არ უსარგებლია ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით. 31%-მა დაადასტურა, რომ გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, ისარგებლეს ჯანმრთელობის დაზღვევით.

გამოკითხულდა 72%-მა ისარგებლა ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამის საბაზისო პაკეტით. 8%-მა სოციალურად დაუცველ პირთათვის განკუთვნილი სადაზღვევო პაკეტით, 8%-მა სამსახურის კორპორატიული დაზღვევით, ხოლო 8% დაზღვევას ფარავს საკუთარი სახსრებით.

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი კმაყოფილია მიღებული მომსახურებით. 17% უფრო კმაყოფილია, ვიდრე უკმაყოფილო. 17% უფრო უკმაყოფილოა, ვიდრე კმაყოფილი. ხოლო 8% უკმაყოფილოა მიღებული მომსახურებით.

დასვენება (დასვენება, გართობა)

რესპონდენტთა 41.1% მეგობრებთან ერთად ატარებს თავისუფალ დროს, 26.5% დროს ატარებს სახლში და დაკავებულია საყოფაცხოვრებო საქმეებით, 21.3% სახლშია და ისვენებს, 10.3% ვარჯიშობს.

კვირის განმავლობაში, 32% მორიგეობითი გრაფიკით უწევს მუშაობა, ამიტომ სამუშაო დღეებს შორის, სამდღიანი ან მეტი დღეების შუალედები აქვთ. 23% ორდღიანი შუალედი აქვს, 9% მუშაობს დღეგამოშვებით. შესაბამისად, ყველა შუალედური დღე არის დასვენების, რომელსაც ახალგაზრდები იყენებენ საკუთარი სურვილით. ხოლო ისინი, ვინც მუშაობს ყოველდღიურად, შესვენება უწევს 2-დან 4 საათამდე.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში აღზრდილი ახალგაზრდების საჭიროებების დადგენა.

გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა.

კვლევის მეთოდი: სატელეფონო ინტერვიუ.

სამიზნე ჯგუფი: სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული სრულწლოვანი ახალგაზრდები. კერძოდ, ის ახალგაზრდები, რომლებიც სრულწლოვანების ასაკის შესრულების დროისთვის ცხოვრობდნენ მცირე საოჯახო სახლებში და სწორედ ეს მომსახურება წარმოადგენდა მათთვის სახელმწიფო ზრუნვის უკანასკნელ ფორმას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 82 რესპონდენტი, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოგვეწოდა ,,მცირე საოჯახო სახლების ქვეპროგრამის" მიმწოდებელი ორგანიზაციებისგან, ასევე, ასოციაცია „ჩვენი სახლი-საქართველოს" მიერ.

კვლევამ ვერ მოიცვა ის ახალგაზრდები, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ მინდობით აღზრდის მომსახურებაში, ვინაიდან, მათ შესახებ ინფორმაციას არ ფლობს არც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, არც რომელიმე სხვა სტრუქტურა. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს მცირე საოჯახო სახლებიდან გასული ახალგაზრდების სრული საინფორმაციო ბაზა, უცნობია გენერალური ერთობლიობის ზუსტი რაოდენობა, შესაბამისად, შერჩევის ბაზა არის არაზუსტი. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაცია მოიცავდა 150 ადამიანს, თუმცა მათგან მხოლოდ 82 დათანხმდა კვლევაში მონაწილეობას, დარჩენილი 68 ახალგაზრდიდან გარკვეულმა ნაწილმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე, დანარჩენთან კი ვერ მოხერხდა დაკავშირება. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა ვერ იქნება რეპრეზენტატული, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ამ საკითხებზე საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა კვლევა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გარკვეული ტენდენციების გამოვლენა, ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდამჭერი სისტემების ამოქმედებისათვის.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა დახურული ან ნახევრად დახურული შეკითხვებისგან. კითხვარი შეიმუშავეს ორგანიზაციის სოციალოგებმა.

კვლევის ძირითადი საკითხები იყო:

- სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები;
- განათლების ხარისხი;
- დასაქმება და ანაზღაურება;
- სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ცხოვრების გამოცდილება;
- ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ არსებული გამოწვევები;
- სოციალური დახმარებები;
- ჯანმრთელობის მდგომარეობა.

გამოკითხული რესპონდენტების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (გეოგრაფიული) განაწილება ასეთია:

ცხრილი N1: რესპონდენტების განაწილება საქართველოს რეგიონებისა და ქვეყნის მითითებით

რეგიონი	**რაოდენობა**	**პროცენტული წილი**
თბილისი	37	47.4%
შიდა ქართლი	6	6,4%
კახეთი	10	12.8%
გურია	6	7.7%
იმერეთი	10	12.8%
მცხეთა-მთიანეთი	4	5.1%
აჭარა	1	1.3%
სამცხე-ჯავახეთი	1	1.3%
სამეგრელო	3	3.8%
იტალია	1	1.3%
სულ:	**79***	

*სამმა რესპონდენტმა აღნიშნულ შეკითხვას არ უპასუხა.

რესპონდენტთა საშუალო ასაკია 19-20 წელი.

რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები ასე გამოიყურება:

- რესპონდენტთა 59.8% მამაკაცია, 40.2% - ქალი;
- რესპონდენტთა ოჯახები, საშუალოდ 4 წევრისგან შედგება;
- გამოკითხულთა 97.6% მართლმადიდებელია, 1.2% მუსლიმი, 1.2% ათეისტი;
- გამოკითხულთა უმრავლესობა 89% ქართველია, 1.2% სომეხი, 3.7% რუსი, 1.2% იეზიდი, 1.2% აფრიკელი;
- რესპონდენტთა უმრავლესობა 84.1% დაუქორწინებელია, 11% დაქორწინებულია, 3.7% იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში, 1.2% განქორწინებული.

დიაგრამა 1: განათლების ხარისხი



გამოკითხულ რესპონდენტებს, საშუალოდ, რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსწავლიათ 11 წელი. თითქმის ნახევარს - 46.3% მიღებული აქვს პროფესიული განათლება, 26.8% დამთავრებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხური, 19.5% დამთავრებული აქვს ამავე დაწესებულების საბაზო საფეხური, 2.4% არ მიუღია სკოლის საბაზო საფეხურის დასრულების ატესტატი, მხოლოდ ერთ რესპონდენტს აქვს ბაკალავრის ხარისხი.

დიაგრამა 2: დასაქმება და ანაზღაურება



რესპონდენტთა 42.7% დაქირავებული თანამშრომელია, 8.5% - თვითდასაქმებული. ხოლო 29.3%-მა განაცხადა, რომ ამჟამად დასაქმებული არ არის. რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომლებიც არასდროს ყოფილან დასაქმებულნი, გამოკითხულთაგან მათი საერთო რაოდენობა 19.5%-ს შეადგენს.

გამოვლინდა, რომ კავშირი არ არის ისეთ ცვლადებს შორის, როგორებიცაა განათლება და დასაქმება, თუმცა განათლების ხარისხი მოქმედებს ისეთ გარემოებაზე, როგორიცაა დასაქმების ადგილი და პოზიცია. ასევე, არსებობს კავშირი შემოსავლებსა და განათლების ხარისხს შორის. რაც უფრო მაღალია მიღებული განათლების ხარისხი, რესპონდენტები უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ ყოველდღიური და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მეტ-ნაკლებად ახერხებენ.

შეიძლება ითქვას, რომ კავშირი არსებობს რესპონდენტების საცხოვრებელ ადგილსა და დასაქმებას შორისაც: იმ რესპონდენტების უმრავლესობა, რომელიც დასაქმებულია, ცხოვრობს დედაქალაქში.

ასევე არსებობს კავშირი საცხოვრებელ ადგილსა და განათლების ხარისხს შორის. იმ რესპონდენტების უმრავლესობა, რომელთაც მიღებული აქვთ პროფესიული

განათლება, ცხოვრობს დედაქალაქში ან რეგიონულ ცენტრებში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის დიდ ქალაქებში მცხოვრებ რესპონდენტებს განათლების მიღების მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ რესპონდენტებს.

დიაგრამა 3: დასაქმების სფერო



დასაქმებულ რესპონდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია (54.1%) მომსახურების სფეროში. რაც შეეხება დანარჩენ სფეროებს, ესენია: მშენებლობა (16.4%), საზოგადოებრივი უსაფრთხოება (9.8%), საინფორმაციო ტექნოლოგიები (8.2%), არაფორმალური განათლება (8.2%), სამთავრობო სტუქტურა (1.6%).

დიაგრამა 4: დაკავებული პოზიცია



სამუშაო ადგილისა და პირობების შეფასება:

რესპონდენტები, ძირითადად კამყოფილებას გამოთქვამენ მიღებულ ანაზღაურებით, სამუშაო გარემოთი, სამუშაო გრაფიკით, თანამშრომლებთან და დამსაქმებელთან ურთიერთობებით, რადგან 5 ბალიან სკალაზე ეს კომპონენტები შეაფასეს 4 ქულით.

დიაგრამა 5: თუ გქონიათ დასაქმების მცდელობა?



N=17

დიაგრამა 6: რა მიზეზებით არ გიცდიათ დასაქმება?

დაუსაქმებელ რესპონდენტთა 41.2% თვლის, რომ აზრი არ აქვს სამსახურის ძიებას, ვინაიდან, მაინც ვერ იპოვნი, 11.8% საოჯახო საქმეებით არის დაკავებული ან სწავლობს, 5.9% შეზღუდული შესაძლებლობის მიზეზით ან მონასტერში ცხოვრების გამო, 17.6%-მა უარი განაცხადა პასუხზე, ხოლო 5.9%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

დიაგრამა 7: დასაქმების ხელისშემშლელი მიზეზები?



რესპონდენტების 33.3% დასაქმებისთვის ხელშემშლელ ფაქტორად ასახელებს დაბალ ანაზღაურებას, 14.3% არასაკმარის კვალიფიკაციას, 14.3% არასასურველ სამუშაო პირობებს, 4.8% დასაქმების ადგილებზე კადრის უსამართლოდ შერჩევას, 4.8% საცხოვრებელ ადგილთან დასაქმების ობიექტების არარსებობას, 4.8% - დასაქმების ობიექტებში თანამშრომლებს, 14.8% ოჯახის წევრის ავადმყოფობას, 4.8% დედაქალაქში გადმოსვლას და ამასთან დაკავშირებულ დამატებით საჭიროებებს.

1. სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ცხოვრების გამოცდილება

დიაგრამა 8: სახელმწიფო ზრუნვის რა ტიპის მომსახურებებში მოგიწიათ ცხოვრება?



სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ყოფნის პერიოდში, რესპონდენტებს, საშუალოდ ორ მომსახურებაში მოუწიათ ცხოვრება, ესენია: ბავშვთა სახლი და მცირე საოჯახო სახლი. ამასთან, ზრუნვის სისტემაში მათი ცხოვრების ხანგრძლივობა საშუალოდ 10 წელია.

1. ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ არსებული გამოწვევები

დიაგრამა 9: რა სახის პრობლემებს წააწყდით სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ?



გამოკითხულ რესპონდენტთა 25.8% ასახელებს საცხოვრებლის არქონას, 22.7% სწავლის გაგრძელებას, 21.1% უმუშევრობას, 9.4% ურთიერთობების სირთულეს ოჯახის წევრებთან, 7.8% ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, 3.9% არ ჰქონდა თანხა დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად, 2.3% არ ჰქონდა ქალაქში ცხოვრებისთვის საჭირო თანხა, 0.8% ვერ იკმაყოფილებდა პირველად საჭიროებებს, 4.7%-ს არ შეხვედრია პრობლემები.

2. დახმარების ფორმები

დიაგრამა 10: მიგიღიათ თუ არა დახმარება ოჯახისგან, ახლობლისგან, ნათესავისგან?



გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარი ვერც ოჯახისგან, ვერც ახლობლებისგან ვერ იღებს რაიმე სახის დახმარებას, იქნება ეს პროდუქტი, ტანისამოსი, თანხები თუ სხვა. 21.3% დახმარებას იღებს ნატურის სახით, 12.5% ფულადი სახსრებით, ხოლო 11.3% დახმარებას იღებს ნატურალური და ფულადი სახითაც.

დიაგრამა 11: მიგიმართავთ თუ არა სააგენტოსთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართვის მიზნით?



დიაგრამა 12: უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, მიგიღიათ თუ არა საარსებო შემწეობის თანხა?



დიაგრამა 13: შემოსავლების მიხედვით, რომელ კატეგორიას მიაკუთვნებდით თქვენს თავს?



რესპონდენტთა 56.4% აღნიშნავს, რომ მეტ-ნაკლებად ახერხებს ყოველდღიური და სხვა ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, 26.9% შემოსავალი მხოლოდ საკვებზე ჰყოფნის, 10.3% კვებაზეც არ ჰყოფნის, 3.8% ადვილად იკმაყოფილებს ყოველდღიურ და სხვა საჭიროებებს, ხოლო 1.3% იმდენად არასრულფასოვნად იკვებება, რომ ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

დიაგრამა 14: რომელი გაწუხებთ ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან?



დიაგრამა 15: ოთხი ძირითადი პრობლემა, რომელიც გაწუხებთ



რესპონდენტების შეფასებით, მათი ოჯახების წინაშე მდგარი პრობლემიდან განსაკუთრებული სიმწვავით გამოყოფენ არასაკმარის ფინანსებს (27.9%), ოჯახის წევრების დასაქმებას (14.4%), საბინაო პირობებს (12.4%), კომუნალური გადასახადების გადახდას (10.4%).

დიაგრამა 16: რა ტიპის არის თქვენი საცხოვრებელი?



დიაგრამა 17: ვის ეკუთვნის საცხოვრებელი?



რესპონდენტთა 45% ცხოვრობს საკუთარ სახლში, რომელიც ერთი ოჯახის საკუთრებაა; 30.8% ოჯახის მიერ დაგირავებულ ბინაში/სახლში; 10.3% ახლობლის კუთვნილ საცხოვრებელში, რაშიც არ იხდის თანხას; 7.7% ,,მცირე საოჯახო სახლების ქვეპროგრამის“ მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ მომსახურებაში; 3.8% - მონასტერშია.

დიაგრამა 18: ჯანმრთელობის დაზღვევის რომელი პაკეტი გაქვთ?



რესპონდენტებმა, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა, 5 ბალიან სკალაზე, საშუალოდ 5 ქულით შეაფასეს.

რესპონდენტთა უმრავლესობას (თითქმის 70%), მიუხედავათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის ფლობისა, ზრუნვის სისტემის დატოვების შემდეგ, არ უსარგებლია სამედიცინო მომსახურებით.

დიაგრამა 19: რამდენად კმაყოფილი ხართ მიღებული მომსახურებით?



დიაგრამა 20: კვირის განმავლობაში დაახლოებით რამდენი დღე გაქვთ თავისუფალი?



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო:

- ახალგაზრდობის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტში, ისევე როგორც მის შესაბამისად დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში, პრიორიტეტულ ჯგუფად გამოყოს სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში აღზრდილი ახალგაზრდები
- განისაზღვროს მიზნობრივი მხარდამჭერი პროგრამები, მათი პილოტირება და სტაბილური განხორციელება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:

- სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში აღზრდილი ახალგაზრდებისთვის პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სწავლის თანადაფინანსების მექანიზმის ამოქმედება; სწავლის პერიოდში საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:

- გადაიხედოს სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი მომსახურებებისთვის (მცირე საოჯახო სახლი, მინდობით აღზრდა) განსაზღვრული სტანდარტები, სადაც კიდევ უფრო მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი სავალდებულო აქტივობები, აღსაზრდელთა დამოუკიდებელი ცხოვრებაზე გადასვლის ტრანზიტულ ეტაპზე (14-18 წელი) საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება, როგორიცაა პროფესიული, შრომითი, საგანმანათლებლო, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები დასწავლა მხარდამჭერი რესურსების მიწოდების გზით.

ადგილობრივი თვითმმართველობა:

- ადგილობრივმა თვითმმართველობამ, შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგიული მიდგომა, სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების მხადასაჭერად, ან მხარდაჭერის პროგრამები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების პროგრამებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შექმნას თანამშრომლობის მექანიზმი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივ წარმომადგენლობასთან, დახმარების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, მუდმივ რეჟიმში მიიღოს და დაამუშაოს ინფორმაცია სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების და მათი სხვა სახელმწიფო პროგრამებში მონაწილოების შესახებ.
- შექმნას ბაზა, სადაც აღრიცხავს სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ ახალგაზრდებს და მათ სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს. აღნიშნულ საჭიროებებზე საპასუხოდ გაითვალისწინებს შესაბამის პროგრამებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. მაგ.: ფასდაკლების სისტემა მუნიციპალურ ტრანსპორტში, უპირატესი უფლება

მუნიციპალიტეტის პროფესიული განათლების, დასაქმების და სხვა სოციალური პროგრამებით სარგებლობისას.

კერძო სექტორი: დაცული შრომითი ადგილების შექმნა.